USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №49
ოქტომბერი, 2023

თბილისი, 2023

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ნიკა ოდიკაძე

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №49 ბიულეტენს. მასში აღწერილია ოქტომბერში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

1. საქართველოს პარლამენტის შუალედური და გურჯაანის მერის რიგგარეშე არჩევნები

2023 წლის 1-ელ ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის გორი-კასპის მაჟორიტარი დეპუტატისა და გურჯაანის მერის არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა.[1] არჩევნებისთვის 133 საარჩევნო უბანი გაიხსნა.[2] 103 უბანზე კენჭისყრის პროცესი ამომრჩეველთა ვერიფიკაციის და ხმის მთვლელი ელექტრონული მოწყობილობების გამოყენებით, ხოლო 30 საარჩევნო უბანზე - ძველი წესით წარიმართა.[3] ეს არჩევნები 2024 წლის საერთო საპარლამენტო არჩევნებამდე ჩატარებული ბოლო საპილოტე არჩევნებია, რომელშიც ელექტრონული ტექნოლოგიები გამოიყენეს.

1-ლი ოქტომბრის არჩევნები არსებითად არაკონკურენტული იყო. „ქართულმა ოცნებამ" გორისა და კასპის მაჟორიტარულ ოლქში კანდიდატად გიორგი სოსიაშვილი, ხოლო გურჯაანის მერის პოზიციაზე გიორგი მაჭავარიანი წარადგინა.[4] საპარლამენტო ოპოზიციას კანდიდატები არ დაუსახელებია. ამის ძირითად მიზეზად საერთო არჩევნების მოახლოება და ოპოზიციის რესურსების კონსოლიდაცია დასახელდა.[5] გურჯაანის მერის არჩევნებში მხოლოდ „ქართული ოცნების" კანდიდატი იყო წარმოდგენილი, გორისა და კასპის მაჟორიტარულ ოლქში კი მმართველ პარტიის კანდიდატს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის" ლიდერი მამუკა ტუსკაძე უწევდა კონკურენციას.[6] პირველ შემთხვევაში, არჩევნების დანიშვნის მიზეზი პარტია „საქართველოს" წევრ გიორგი ხოჯევანიშვილის მიერ პარლამენტის საკუთარი სურვილით დატოვება გახდა 2023 წლის თებერვალში,[7] მეორე შემთხვევაში კი, თანამდებობა მიმდინარე წლის ივნისში, ასევე საკუთარი სურვილით დატოვა გურჯაანის მერმა ზურაბ უტიაშვილმა.[8] ორივე სა-

[1] „პირველი ოქტომბრის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების წინასწარი შედეგები", ცესკოს ვებგვერდი, 2023 წლის 2 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/hEIJ3, განახლებულია: 13.11.2023.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] „ქართულმა ოცნებამ" შუალედურ არჩევნებში კანდიდატები დაასახელა", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2023 წლის 14 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32547029.html, განახლებულია: 29.11.2023.

[5] „რომან გოცირიძე - ბევრი მიზეზის გამო, ახლა შუალედურ არჩევნებზე რესურსების დახარჯვის დრო არ არის, თუმცა პარტიები თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას", საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 14 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/qwlEmd8l, განახლებულია: 29.11.2023.

[6] „გორი-კასპის მაჟორიტარის შუალედურ არჩევნებში ოცნების კანდიდატმა ხმების 93,4% მიიღო", საინფორმაციო პორტალი „ტაბულა", 2023 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/707609-gori-kaspis-mazhoritaris-shualedur-archevnebshi, განახლებულია: 29.11.2023.

[7] „პარტია „საქართველოსთვის" დეპუტატი პარლამენტს და პარტიას ტოვებს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 6 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/524284, განახლებულია: 29.11.2023.

[8] „გურჯაანის მერმა თანამდებობა დატოვა", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2023 წლის 9 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32452119.html, განახლებულია: 29.11.2023.

არჩევნო ოლქში თანამდებობა „ქართული ოცნების“ კანდიდატმა მოიპოვა.[9] შუალედურ/რიგგარეშე არჩევნებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) ორივე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე დააკვირდა. არჩევნები დაბალი კონკურენციის და აქტივობის პირობებში, მშვიდ გარემოში წარიმართა. მნიშვნელოვანი დარღვევები არ გამოვლენილა. საიას დამკვირვებლებმა დააფიქსირეს მცირე ტექნიკური პრობლემები, ასევე ამომრჩეველთა აღრიცხვის შემთხვევები.

ორგანიზაციის აზრით, კენჭისყრის პროცესის ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, შეუფერხებლად ჩასატარებლად, 2024 წლის არჩევნებამდე ცესკომ უნდა უზრუნველყოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სათანადო მომზადება. ასევე, მნიშვნელოვანია, ცესკოს მიერ ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია კიდევ უფრო გაფართოვდეს და მაქსიმალურად მოიცვას რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა. ამომრჩეველთა აქტივობის ზრდის შედეგად მოსალოდნელ სირთულეებთან გასამკლავებლად, საარჩევნო ადმინისტრაციამ წინმსწრებად უნდა მიიღოს საჭირო და ქმედითი ზომები. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ გაზრდილი აქტივობის პირობებში საუბნო საარჩევნო კომისიებმა შეძლონ ამომრჩეველთა ნაკადის გატარება პროცესის შეფერხებისა და საარჩევნო უბნებზე რიგების წარმოქმნის გარეშე.

2. პირველ ოქტომბერს ჩატარებული შუალედური არჩევნების და ამ არჩევნებზე გამოყენებული ელექტრონული საშუალებების აუდიტი

ცესკოს ინიციატივით, 1-ელ ოქტომბერს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გამართული შუალედური/რიგგარეშე არჩევნების და ამ არჩევნებზე გამოყენებული ელექტრონული საშუალებების შესაბამისობის აუდიტი ჩატარდა.[10]

აუდიტის პირველი ეტაპი აუდიტორების საქართველოში ვიზიტს, მოსამზადებელი სამუშაოების წარმოებას და სამოქმედო გეგმის შედგენას მოიცავდა, ხოლო მეორე ეტაპი უშუალოდ აუდიტის ჩატარებას და ანგარიშის მომზადებას ითვალისწინებდა.[11]

მთლიანობაში, აუდიტის პროცესმა მოიცვა შემდეგი საკითხები: 1) საერთაშორისო საარჩევნო პრინციპებთან ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული არჩევნების (კენჭისყრის) შესაბამისობის აუდიტი;[12] 2) გამოყენებული ელექტრონული საშუალებების (საარჩევნო ტექნოლოგიების) ტექნიკური და პროგრამული ფუნქციონირების აუდიტი,[13] კერძოდ, აკმაყოფილებს თუ არა არჩევნებში გამოყენებული აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა ტენდერის პირობებს და ტექნიკურ სპეციფიკაციებს;[14] 3) საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობასთან ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული არჩევნების (კენჭისყრის) შესაბამისობის აუდიტი.[15]

---

[9] „ცესკომ საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების საბოლოო შედეგები შეაჯამა“, ცესკოს ვებგვერდი, 2023 წლის 9 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/HOP45, განახლებულია: 29.11.2023.

[10] „ცესკოს თავმჯდომარემ არჩევნებში ჩართულ მხარეებს 1-ლი ოქტომბრის არჩევნებზე ჩატარებული აუდიტის ანგარიში გააცნო“, 2023 წლის 27 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/iKNV9, განახლებულია: 29.11.2023.

[11] „ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა“, 2023 წლის 6 ოქტომბერი, ცესკოს ოფიციალური YouTube-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=ZEMHOu4uH0I&t=2395s, განახლებულია: 29.11.2023.

[12] „აუდიტის დასკვნა - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) შესაბამისობის დამოუკიდებელი აუდიტის მომსახურება“, ცესკოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bJKSV, განახლებულია: 29.11.2023.

[13] ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატები VIU Desktop 818-100; ხმის მთვლელი სპეციალური ელექტრონული აპარატები PCOS SAES-1800Plus; პლანშეტური კომპიუტერი VIU Tablet 100; აპარატების პროგრამული უზრუნველყოფა; საწყისი (Source) კოდის მიმოხილვა.

[14] „აუდიტის დასკვნა - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) შესაბამისობის დამოუკიდებელი აუდიტის მომსახურება“, ცესკოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bJKSV, განახლებულია: 29.11.2023.

[15] იქვე.

აუდიტის შესახებ ინფორმაცია 6 ოქტომბრის სხდომაზე მიაწოდა კოლეგებს ცესკოს თავმჯდომარემ გიორგი კალანდარიშვილმა.[16] სხდომაზე უკმაყოფილება გამოთქვა ცესკოს ოპოზიციონერმა წევრმა ანა კობახიძემ და კალანდარიშვილი ცესკოს წევრების დაგვიანებულ ინფორმირებაში დაადანაშაულა.[17] კობახიძის თქმით,[18] მან სწორედ 6 ოქტომბრის სხდომაზე შეიტყო აუდიტის შესახებ. გიორგი კალანდარიშვილმა განმარტა, რომ პროცესის წარმართვა არა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობას, არამედ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, კერძოდ, საფინანსო დეპარტამენტს ევალებოდა, თავად ცესკოს თავმჯდომარე კი, მისი ადმინისტრაციული ფუნქციებიდან გამომდინარე, ყველაფრის საქმის კურსში იყო.[19] კალანდარიშვილმა დააზუსტა, რომ ამ პროცესში ცესკოს წევრებს მონაწილეობა არ მიუღიათ, რადგან ამის საჭიროება არ ყოფილა, თუმცა აუდიტთან დაკავშირებით ინფორმაცია მათ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, ბიუჯეტზე მსჯელობის დროს ჰქონდათ.[20] ასევე, მისი თქმით, კოლეგების მხრიდან სურვილის გამოთქმის შემთხვევაში, ის ყოველ ეტაპზე მზად იყო მათთვის ინფორმაციის გასაზიარებლად.[21]

29 ოქტომბერს ცესკომ 2023 წლის 1-ელ ოქტომბერს ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული არჩევნების აუდიტის დასკვნის შედეგები წარმოადგინა.[22] ცესკოს მიერ ორგანიზებულ პრეზენტაციას პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, ასევე, ელექტრონული აპარატების მომწოდებელი (Smartmatic International B.V) და აუდიტის განმახორციელებელი (Pro V&V) კომპანიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.[23] აუდიტორული დასკვნა ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა.[24]

დოკუმენტის მიხედვით, არჩევნებში გამოყენებული აუდიტირებული აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა შეესაბამებოდა სატენდერო მოთხოვნებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებსა და ქართულ კანონმდებლობას.[25]

აუდიტორული დასკვნის შედეგად გაიცა 3 რეკომენდაცია:[26] 1) სასურველია, გადაიხედოს აპარატების ტესტირების პროცესი, რადგან 1-ლი ოქტომბრის საპილოტე არჩევნებზე გამოყენებული მოწყობილობები არის მხოლოდ ნაწილი ტექნიკისა, რომელიც გამოყენებული იქნება მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული არჩევნებისთვის;[27] 2) თუ სპეციალურ სიაში შეყვანილი კომისიის წევრი, რომელსაც საკუთარ უბანზე არ აქვს ხმის მიცემის უფლება, მაინც გამოცხადდება უბანზე, სასურველია, ვერიფიკაციის აპარატმა გამოსცეს ხმოვანი სიგნალი;[28] 3) ასევე, ვერიფიკაციის აპარატმა გამოსცეს ხმოვანი სიგნალი, თუ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილი ამომრჩეველი გამოცხადდება საარჩევნო უბანზე.[29]

ცესკოს თავმჯდომარის თქმით, 2024 წლის საერთო საპარლამენტო არჩევნებისთვის აუდიტი ხელახლა ჩატარდება.[30]

---

[16] „ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა“, 2023 წლის 6 ოქტომბერი, ცესკოს ოფიციალური YouTube-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=ZEMHOu4uH0I&t=2395s, განახლებულია: 29.11.2023.
[17] იქვე.
[18] იქვე.
[19] იქვე.
[20] იქვე.
[21] იქვე.
[22] „ცესკოს თავმჯდომარემ არჩევნებში ჩართულ მხარეებს 1-ლი ოქტომბრის არჩევნებზე ჩატარებული აუდიტის ანგარიში გააცნო“, 2023 წლის 27 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/iKNV9, განახლებულია: 29.11.2023.
[23] იქვე.
[24] „აუდიტის დასკვნა - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) შესაბამისობის დამოუკიდებელი აუდიტის მომსახურება“, ცესკოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bJKSV, განახლებულია: 13.11.2023.
[25] იქვე.
[26] იქვე.
[27] იქვე.
[28] იქვე.
[29] იქვე.
[30] „ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა“, 2023 წლის 6 ოქტომბერი, ცესკოს ოფიციალური YouTube-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=ZEMHOu4uH0I&t=2395s, განახლებულია: 29.11.2023.

3. საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტი

14 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა კონსტიტუციური წარდგინებით მიმართეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.[31] საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვა 5, 6 და 7 ოქტომბერს გაიმართა.[32] სასამართლოში პრეზიდენტს საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი „ქართული ოცნებიდან", თამარ ჩუგოშვილი და საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე მაია კოპალეიშვილი წარმოადგენდნენ.[33] „ქართული ოცნებიდან" სხდომას ხუთი დეპუტატი ესწრებოდა, მათ შორის, პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, ასევე მიხეილ სარჯველაძე, ანრი ოხანაშვილი, თენგიზ შარმანაშვილი და გიორგი კახიანი.[34]

16 ოქტომბერს გამოქვეყნდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, სალომე ზურაბიშვილმა მთავრობის თანხმობის გარეშე ევროპაში ვიზიტებით, რაც, თავისი შინაარსით, საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას გულისხმობდა, საქართველოს კონსტიტუცია დაარღვია.[35] კერძოდ, გადაწყვეტილების თანახმად, პრეზიდენტმა დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის დანაწესი.[36]

გადაწყვეტილებას პლენუმის ცხრა წევრიდან ექვსმა დაუჭირა მხარი.[37] ირინა იმერლიშვილმა, გიორგი კვერენჩხილაძემ და თეიმურაზ ტუღუშმა განსხვავებული აზრი დააფიქსირეს, რომელიც თან დაერთო სასამართლოს გადაწყვეტილებას.[38]

18 ოქტომბერს იმპიჩმენტის პროცედურამ საკანონმდებლო ორგანოში გადაინაცვლა, თუმცა პარლამენტმა სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტს მხარი არ დაუჭირა.[39] იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის გადასაყენებლად 100 დეპუტატის ხმა იყო საჭირო,[40] სხდომაზე რეგისტრაცია კი მხოლოდ 90-მა დეპუტატმა გაიარა, საიდანაც 86-მა სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტს ხმა მისცა.[41] „ქართული ოცნების" 85 დეპუტატის გარდა, პრეზიდენტის იმპიჩმენტს მხარი მხოლოდ „ევროპელი სოციალისტების" ლიდერმა ფრიდონ ინჯიამ დაუჭირა.[42] სხდომათა დარბაზში ასევე იმყოფებოდ-

---

[31] საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) 2023 წლის 22 სექტემბრის N3/2/1797 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=15876.

[32] „საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს განიხილავს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 5 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/561936, განახლებულია: 29.11.2023.

[33] იქვე.

[34] იქვე.

[35] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N3/1/1797 დასკვნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის თაობაზე, „საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე", ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=15923.

[36] იქვე.

[37] იქვე.

[38] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძისა და თეიმურაზ ტუღუშის N3/1/1797 განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2023 წლის 16 ოქტომბრის №3/1/1797 დასკვნასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=15924.

[39] „პარლამენტი პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს განიხილავს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 18 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/564143, განახლებულია: 29.11.2023.

[40] საქართველოს კონსტიტუცია, 48-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[41] „პარლამენტში პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ შედგა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 18 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/564232, განახლებულია: 29.11.2023.

[42] „რომელმა დეპუტატმა დააჭირა წითელ ღილაკს და ვინ დადგა "ოცნების" გვერდით 86-ე მომხრედ - კენჭისყრის

ნენ ალეკო ელისაშვილი და პარტია „გირჩის“ წევრები.[43] ელისაშვილმა იმპიჩმენტის წინააღმდეგ მისცა ხმა, „გირჩის“ დეპუტატებმა კი კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს.[44]

მმართველი პარტიის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის შეფასებით, კენჭისყრაზე ოფიციალურად დადასტურდა, რომ ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის წევრების უმრავლესობა სალომე ზურაბიშვილს აღარ მიიჩნევს პრეზიდენტობის ღირსად.[45] კობახიძის თქმით, შემდეგი ერთი წლის განმავლობაში სალომე ზურაბიშვილი მხოლოდ ფორმალურად იქნება საქართველოს პრეზიდენტი.[46]

პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატ თინა ბოკუჩავას შეფასებით, ინტერპელაციის პროცედურა საქართველოს პარლამენტში ბიძინა ივანიშვილის დამარცხებით დასრულდა.[47] დეპუტატის თქმით, მმართველი პარტიის მიერ იმპიჩმენტის პროცესის წამოწყებამ ევროინტეგრაციის პროცესს და, ზოგადად, ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა.[48]

დეტალები“, საინფორმაციო პორტალი „ambebi.ge“, 2023 წლის 18 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bAO45, განახლებულია: 29.11.2023.

[43] იქვე.

[44] იქვე.

[45] „პოლიტიკოსები პარლამენტში პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის ჩაგდებას აფასებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 18 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/564266, განახლებულია: 29.11.2023.

[46] იქვე.

[47] იქვე.

[48] იქვე.